

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2016 წლის პროგრამები

ჯანმრთელობის დაცვა

ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა

პროგრამით გათვალისწინებულია:

მედიკამენტების მიწოდება ბრონქული ასთმით, ეპილეფსიითა და პარკინსონით დაავადებულ 19 წლამდე ასაკის პირებისათვის, 0-100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე შშმ პირებისთვისა და ასაკით პენსიონერებისთვის. აგრეთვე, მატერიალური დახმარება გაეწევა ფენილკეტონურიით დაავადებულ პირებს საკვები დანამატების შეძენის მიზნით.

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობა პროგრამით გათვალისწინებულია:

გინეკოლოგის კონსულტაცია, საშვილოსნოს ყელის დათვალიერება, ნაცხის აღება, კოლპოსკოპია, საშვილოსნოს ექოსკოპიური გამოკვლევა, მცირე სახის ოპერაციები-საშვილოსნოს ყელის დაზიანების ამოკვეთა ან დაშლა და მამოგრაფიული გამოკვლევა 30-40 წლამდე ქალებში. მკერდის, პროსტატის, საშვილოსნოს, საკვერცხეების, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით დაავადებულთა გამოკვლევა ონკომარკერებით.

ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა

პროგრამით გათვალისწინებულია:

ერთ წლამდე ასაკის ბავშვების მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსის ჩატარება.

ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

პროგრამით გათვალისწინებულია:

ქ. ბათუმში მცხოვრებ 18 წლის ზემოთ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთათვის რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შედგენა, ერგოთერაპია, არტთერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პედაგოგის მომსახურება, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში ჩართვა, საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება

პროგრამით გათვალისწინებულია:

57 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე და ნავთობგადამამუშავებელი ტერმინალის უფასო სასადილოს ბენეფიციარებისათვის უფასო მუნიციპალური სასადილოების მომსახურებით უზრუნველყოფა, რომელთაც წინა წლებში არ უსარგებლიათ მსგავსი მომსახურებით, სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება, 18 წლამდე ასაკის შ.შ.მ. სტატუსის მქონე ბავშვებს სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურება.

C ჰეპატიტის დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება პროგრამით გათვალისწინებულია:

მედიკამენტოზური მკურნალობა, დიაგნოსტიკა თანადაფინანსებით - 70% ფასდაკლებით, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის (0-70000 სარეიტინგო ქულამდე) 30 %-ისა და სხვა კატეგორიის მოსახლეობის დარჩენილი 70 %-ის 60 %-ით დაფინანსება.

შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია პროგრამით გათვალისწინებულია:

შშმ პირების, ომში დაზარალებულთა და თანმხლები პირების მომსახურება: ურეკი-73 ბენეფიციარი, წყალტუბო - 35 ბენეფიციარი, ბორჯომი -50 ბენეფიციარი. მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების მომსახურება ურეკში - 7 ბენეფიციარი. ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ პირების, ომში დაზარალებულთა თანმხლები პირების მომსახურება: ურეკი-82, წყალტუბო-10, ბორჯომი-20 ბენეფიციარი. აგრეთვე ტრანსპორტირების ხარჯი.

ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტთა მონიტორინგი და დიაგნოსტიკა პროგრამით გათვალისწინებულია:

ბრონქული ასთმით, ასთმური და მორეციდივე ბრონქიტით და ქოდი-ით დაავადებული პაციენტებისათვის ექიმ-ალერგოლოგის კონსულტაცია, ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტებისთვის სპირომეტრიული გამოკვლევა, იმუნოგლობულინის განსაზღვრა სისხლში, მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებული პაციენტებისათვის ექიმ-ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებული პაციენტებისათვის გლიკოზირებული ჰემოგლობინის განსაზღვრა.

ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია პროგრამით გათვალისწინებულია:

მულტიდისციპლინური გუნდის ერთი, ან საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ, თვეში 8 მომსახურების გაწევა, მშობლებისთვის ტრენინგ-სემინარების ჩატარება პირველი- მეორე ღონისძიების ფარგლებში. მესამე ღონისძიების ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებული სმენის დარღვევების მქონე 3-დან 12 წლამდე 15 ბავშვისათვის ფსიქოლოგის და ლოგოპედის მომსახურება. მეოთხე ღონისძიების ფარგლებში ქ. ბათუმში დაბადებული ახალშობილებისათვის სმენის სქრინგული გამოკვლევა.

სანიტარიული დაცვის ღონისძიებები

პროგრამით გათვალისწინებულია:

ნაგავამტარების დეზინსექცია თვეში ორჯერ, (მაისი-ოქტომბერი), მრავალსართულიანი სახლებისა და სადარბაზოების დეზინსექცია თვეში ორჯერ, მაისი-ოქტომბერი, ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია (10000ც), ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია თვეში ორჯერ მაისი-ოქტომბერი, ქალაქის ტერიტორიის დერატიზაცია ყოველთვიურად, ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და

სარდაფების დეზინსექცია თვეში ერთჯერ მაისი-ოქტომბერი, ცხოველების (მიუსაფარი ძაღლების, კატების) დაჭერა და ტრანსპორტირება, ევთანაზია, სტერილიზაცია, კასტრაცია, კვება, ვაქცინაცია და დაბირკვა.

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარიული მონიტორინგი პროგრამით გათვალისწინებულია:

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში საგანმანათლებლო და სააღმწარდელო ღონისძიებების ჩატარებას. კალორაჟის განსაზღვრა ბაღებსა და უფასო მუნიციპალურ სასადილოებში, განათების კოეფიციენტის განსაზღვრა, აუზის წყლის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კვლევა, სტომატოლოგიური კაბინეტებისა და სილამაზის სალონების ლაბორატორიული მონიტორინგი სტერილობაზე, სადენზიფიკაციო საშუალებების ქიმიური კვლევა, მუსიკალური ხმაურის განსაზღვრა, კვების პროდუქტების მონიტორინგი საბავშვო ბაღებსა და მუნიციპალურ სასადილოებში.

ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება

პროგრამით გათვალისწინებულია:

ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტებისათვის ყოველთვიური კომპენსაციის გაწევა 60 ლარის ოდენობით, 18 წლამდე ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის 200 ლარის ოდენობით დახმარების გაწევა.

ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება

პროგრამით გათვალისწინებულია:

ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე, ქ. ბათუმში რეგისტრირებული, 4 ბენეფიციარისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე 3 ბენეფიციარის დახმარება.

მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება

პროგრამით გათვალისწინებულია:

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების და მკურნალობის ჩატარების თანადაფინანსება.

ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება

პროგრამით გათვალისწინებულია:

ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის თანამშრომელთათვის ხელფასების დოტაცია და ზამთარ-ზაფხულის პერიოდში დამატებითი ბრიგადების დაფინანსება.

სოციალური უზრუნველყოფა

კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება

პროგრამით გათვალისწინებულია:

მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მათ შორის, შშმ სტატუსის ბავშვების, ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალ დაკარგულების, 0-70000 ლის მქონე სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლებისა და მათი შვილებისთვის ყოველთვიურად წყლისა და კანალიზაციის გადასახადის და დასუფთავების მოსაკრებლის დაფარვა.

მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების და ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულებისთვის ყოველთვიურად სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის (არაუმეტეს 5 ლარისა) დაფარვა.

მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების, ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალ დაკარგულების, 0-70000 ლის მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახების გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90% თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე. ვეტერანების, მათთან გათანაბრებულ პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულებისთვის ყოველთვიურად 5 კგ თხევადი აირის შესაბამისი საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა.

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა

პროგრამით გათვალისწინებულია:

მატერიალური დახმარების გაწევა: სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილი ადამიანების, ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით 0-100.000 ლის მქონე ოჯახების, მრავალშვილიანი 0-70000 სარეიტინგო ლის მქონე 3 შვილიანი ოჯახების, 0-70000 სარეიტინგო ლის მქონე 4 შვილიანი ოჯახების, 5 და 5-ზე მეტ შვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლისა და უდედმამო ბავშვთა მატერიალური დახმარება წელიწადში ორჯერ; გარდაცვლილი ვეტერანების და გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი პირების 0-70000 სარეიტინგო ლის მქონე ოჯახის წევრების, ბავშვის მოვლის საშუალებების შესაძენად 0-100.000 ლის მქონე ოჯახების ყოველ ერთ წლამდე ახალშობილისათვის, 0-დან 100.000 ლის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახების (სამი და მეტი შვილი), მარტოხელა დედების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში მონაწილეთა, ომში დაზარალებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახების ბავშვთა სემესტრული დაფინანსება სახელმწიფო სახელოვნებო და სპორტულ დაწესებულებებში.

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება

პროგრამით გათვალისწინებულია:

M 3 კლასის საქალაქო სამგზავრო ავტობუსით მგზავრობის დაფინანსება ქალაქის ფარგლებში: 25050-მასწავლებელზე, სტუდენტებზე, იძულებით გადაადგილებული პირებისა

და ასაკით პენსიონერებზე მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%- ით სუბსიდირება (თვეში საშუალოდ 8 მგზავრობა (ერთი მგზავრობის - 15 თეთრით დაფარვა), ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციართა, ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციართა, შშმ პირების, მოსწავლეების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%- ით სუბსიდირება (თვეში საშუალოდ 8 მგზავრობა (ერთი მგზავრობის - 30 თეთრით დაფარვა).

მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება

პროგრამით გათვალისწინებულია:

მზრუნველობას მოკლებული კატეგორიის მოქალაქეების მოვლა-პატრონობა, შესაბამისი სამედიცინო მომსახურებითა და საყოფაცხოვრებო პირობებით, საწოლს მიჯაჭვულ მოხუცებულ და შშმ პაციენტებისთვის სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება სახლის პირობებში. მომსახურება გაეწევა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ბენეფიციარებს, შშმ პირებს, ასაკით პენსიონერებს, რომლებიც დაავადებულნი არიან ქრონიკული დაავადებებით.

მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა

პროგრამით გათვალისწინებულია:

ქ. ბათუმის მერიის საბინაო ფონდიდან გამოყოფილი საცხოვრებელი ბინების გადაცემა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების და იმ ოჯახებისათვის, რომელთა ოჯახის უფროსი წევრები (დედა და მამა) დაბადებულნი არიან ქ. ბათუმში, მაგრამ მიმდინარე პერიოდისათვის საცხოვრებელი ადგილი რეგისტრირებულია საქართველოს სხვა რეგიონში და რომლებსაც ჰყავთ 7 და მეტი შვილი. პროგრამის ბენეფიციარი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება 1 საცხოვრებელი ბინით, რომლის საერთო ფართი შეადგენს 120 კვმ-დან 135 კვმ-მდე.

მუნიციპალური უფასო სასადილო

პროგრამით გათვალისწინებულია:

მოქალაქეთა მომსახურება, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ და მინიჭებული აქვთ 0 - 57 000 სარეიტინგო ქულა. ქვეპროგრამა მოიცავს ადგილზე კვებას და იმ მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურებას, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას.

დროებითი ღამის თავშესაფარი

პროგრამით გათვალისწინებულია:

ყოველდღიურად ღამის გათევა ორჯერადი კვებით (საუზმე, ვახშამი) და სუფთა ტანსაცმლით უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გაწევა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა

პროგრამით გათვალისწინებულია:

ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის მატერიალური მხარდაჭერა, რომელიც ითვალისწინებს საკანცელარიო, კომუნალური, სამივლინებო და საოფისე და საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენის ხარჯების დაფარვა. ასეთივე მხარდაჭერა გათვალისწინებულია ბათუმის ვეტერანთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ვეტერანთა ინფორმირებას და მეტ ჩართულობას სოციალურ პროგრამებში.